



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

გრძანება № 50

2017 წლის 10 თებერვალი

ঢ. তথ্যবিদ্যা

2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტიკული მეცნიერების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული მეცნიერების მინისტრის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა წესდების დამტკიცების შესაბამისად, ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქადაგის გადატანისას სამსახურებრივი ბარათის (N489060, 10.05.2017) შესაბამისად,

კბრძანება:

1. გამოცხადდეს 2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი - სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის (შემდგომში - კონკურსი).
 2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
 3. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის თავფურცლის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
 4. დამტკიცდეს კონკურსზე წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
 5. დამტკიცდეს ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიის - CV-ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქის თანხმობის წერილის - Letter of commitment -ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს „განცხდება კონკუსში მონაწილეობის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;

12. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

13. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

14. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

